



COHABITATION AND CIVIL UNION According to the French Civil Code as of November 14, 2022

Ana Gventsadze

*Doctoral Candidate of Law, Lecturer, Caucasus International University; France, University of Poitiers,
member of Georgian Bar Association. Tbilisi, Georgia*

ARTICLE INFO

Article History:

Received 24.01.2023

Accepted 03.03.2023

Published 31.03.2023

Keywords:

Family law, Marriage,
Cohabitation,
Act of solidarity, Couple

ABSTRACT

After the Civil Code of Georgia entered into force in 1997, more than 25 years, the analog of the German family law at that time – Georgian family law – has not become the object of legislative changes. While all over Europe, around the fundamental core of society called the family, the states establish new regulations, create institutions, expand the concepts and support all this to the free development and choice of the individual, our family law is more and more distant from reality. In this article, the types of relationships between couples provided by the French Civil Code, different from marriage, are reviewed, which, according to the French national statistics, are much more in demand among young couples than marriage. These types allow individuals to decide of their own free will which legal institution is the most favorable for their relationship and goals. Georgian society belongs to the big family of Europe, that is why it is necessary for the legislation of Georgia to follow the dynamics of European development and take into account the changes made by the neighboring states, of course, adjusting it to its reality.

INTRODUCTION

The family is the nucleus of Georgian and French society, which is organized and protected by law due to its high importance. The family is a large or small group of natural persons who have some kind of kinship or family-legal relationship with each other. The French Civil code, in contrast to the Georgian law, which only recognizes the existence of the institution of marriage between a couple, recognizes two legal forms of a couple's relationship: cohabitation (concubinage) and act of solidarity (Pacte civil de solidarité*). As a result of many parliamentary debates, the Chapter on cohabitation and the act of solidarity was added to the French Civil Code on November 15, 1999, based on Law No. 99-944. The development of society caused the aforementioned legislative change, women's movements, and the establishment of women's rights, the desire for an independent life, and personal freedom. According to French National Institute of Statistics research, cohabitation and act of solidarity are significantly more common among young couples than marriage.¹

COHABITATION

Unlike the act of solidarity, cohabitation in the French civil code is devoted to only one article (Article 515-8), according to which cohabitation is the fact of living together between two persons of different sexes or of the same sex, which is characterized by stability and continuity.² For a couple's life together to be considered cohabitation, it is necessary that their stay together be characterized by the following conditions:

- Two authorized persons must represent the couple;
- Not married;

* Civil Pact of Solidarity.

1 <<https://www.insee.fr/fr/statistiques/3306175#tableau-figure1>>

2 Article 515-8 du Code civil – Le concubinage est une union de fait, caractérisée par une vie commune présentant un caractère de stabilité et de continuité, entre deux personnes, de sexe différent ou de même sexe, qui vivent en couple.

** In French Doctrine, only the persons who have sexual relations with each other are referred to as a couple.

- Lived together with minimal stability;
- Their relationship should be characterized by continuity.

The French Civil Code recognizes cohabitation only as a fact and does not give it legal force; cohabiting persons are not even considered members of the same family, and their relationship status is single.** Despite this, a person can live in only one cohabitation (concubinage). The French Civil Code does not set an age limit for cohabitation therefore, even minors can live together as a couple under cohabitation. By integrating cohabitation into the French Civil Code, the legislator did not create a new institution; it simply recognized the right of the couple to have a free union (union libre), but outside of the relationships regulated in detail by the Civil Code. Nevertheless, Article 515-8 of the French Civil Code has often become the basis for decision-making by the French Supreme Court. Despite the law limiting cohabitation to only one article, jurisprudence has established various principles.

Since, according to French legislation, cohabitation is a legal fact, its registration, unlike marriage, is impossible, but it is possible for the state body to recognize the fact. The City Hall³ will issue the notification about cohabitation, although it is not obliged to issue such a document by law. According to the official website⁴ of the state services, based on the couple's request for a certificate of cohabitation, some City Halls issue a document and determine the existence of the fact of cohabitation. This document does not have legal force; it is more like a certificate and can be used in some cases defined by law, for example, when a couple requests social assistance. Obtaining a certificate is free of charge, and to receive it, the couple must submit identity cards and residence documents (utility payment receipt, rental agreement, etc., which is, in a way, an alibi of the couple's cohabitation). It may also be necessary to present witnesses who will confirm that the couple is living together. Although cohabitation does not create a legal relationship between the couple, it does not entirely exclude them either. For example, a partner

3 In France, City Hall is a body where any information about a person is registered.

4 <<https://www.service-public.fr/particuliers/vosdroits/F1433>>

can demand from the other partner the return of the property obtained due to unjust enrichment,⁵ since they do not have mutual maintenance obligations. According to the decision⁶ of the French Supreme Court, a cohabiting couple does not have an obligation of fidelity. Since cohabitation is a free relationship, separation can occur at the initiative of one party without the other party's consent, without his knowledge, and without any legal measures or appeal to the state authorities. The pregnancy of the partner is also not an obstacle to separation, as it is considered, for example, in marriage, however, in the presence of certain circumstances, based on Article 1240 (formerly Article 1382) of the French Civil Code, which deals with the question of compensation for damages caused by tortious obligations, after infidelity and separation, it is possible to claim compensation for moral damages against the spouse who initiated the breakup or was the author of the betrayal.⁷ During cohabitation, if one of the partners dies, the other party has no right to legal inheritance. However, it is possible to be a testamentary heir, and the partner does not have the right to reversion* of the deceased partner's pension.

ACT OF SOLIDARITY

The act of solidarity is a contract between two adults. In its essence, the act of solidarity, which the French refer to as PAX (P.a.c.s), lies between cohabitation and marriage and concerns the property and money matters of the couple; it does not affect the family and filiation. According to the French public services website, Pax affects a couple's social, income, tax, housing, and property rights and does not affect filiation or name. Under the act of solidarity, partners are not considered to be spouses of each other, and whether they are members of the same family or not, neither the

law nor the doctrine nor the jurisprudence has an unequivocal answer.

The articles on the act of solidarity of the French Civil Code have undergone several changes since 1999, namely in 2005 and 2006. According to the first sentence of Article 515-4 of the French Civil Code, a couple bound together by an act of solidarity undertakes to live together and support each other materially and mutually.

According to data published by the French institute of Statistics and National Studies on January 16 in 2018, 181,900 different-sex couples and 7,000 same-sex couples signed the act of solidarity in 2015, and 184,400 different-sex couples and 7,100 same-sex couples in 2016. This data shows the fact that the act of solidarity is a sought-after institution in French society.

The act of solidarity is not only characteristic of French law; a similar type of institution is also found in Belgian law under the name of legal cohabitation (cohabitation légale), which differs in its content from the institution of the French act of solidarity. According to Belgian law, legal cohabitation can even be enjoyed by members of the same family; the couple doesn't need to be in a sexual relationship, and the partners in legal cohabitation undertake to manage the residence together, take care of living expenses together and share certain debts. In German law, the institution of the French solidarity act can be found under the name of cohabitation (Lebenspartnerschaft). However, the content is different in particular, a couple is only homosexual, they undertake to take care of each other and live together they have the right to take each other's surname. Unlike French civil law, the German Civil Code gives cohabiting partners more rights and obligations, almost similar to that of a married couple. German law gives the cohabiting partner the right to adopt the biological child of the other partner, which is impossible under the French Civil Code. Canadian civil law recognizes cohabitation under the name of living common law, while some American states recognize – common-law marriage. However, the content of each institution and regulation by law is not similar. Common-law marriage in the United States was based on the New York Supreme Court's decision in 1809 (*Frenton v. Reed*), in which the court notes that a couple who have lived together for several

5 Decision of the French Supreme Court of May 18, 2022 N 18-12.808.

6 Decision of the French Supreme Court of February 3, 1999 N 96-11946.

* Le droit à la pension de réversion.

7 Tout fait quelconque de l'homme, qui cause à autrui un dommage, oblige celui par la faute duquel il est arrivé à le réparer – Any action that causes harm to another obligates the author of that action to correct it.

years and are perceived as husband and wife in the eyes of the public, are considered married even without a formal marriage, and they are spouses for each other.

According to Article 515-1 of the French Civil code, the act of solidarity is a contract between two adults, of the same or different sex, for the organization of their common life. Signing a so-called Pax contract is prohibited if one (or both) partners are already married or are "Paxed". Incest is strictly prohibited by French law. According to Article 515-2 of the French Civil Code, the act of solidarity is void if it is concluded between relatives in direct ascending and descending lines and between relatives in lateral lines (cousins) and their children and grandchildren.

Since the act of solidarity is a contract signed between the partners, it becomes effective for the parties upon its signature, and the right of dispute for the third parties arises upon its publication by the notary. The contract is filed before a civil officer, who first verifies the admissibility of the couple's applications and then registers it and delivers the documents to a notary for registration and subsequent publication. If the parties, after the publication of the contract, want to make changes to the act of solidarity, they are obliged to register them through the procedure of entry into force of the contract. Two types of the contract act of solidarity exist: 1. Prepared in advance by the City Hall⁸ and 2. Drawn up by the free will of the parties, and the principle of freedom of contract applies to it. According to the first sentence of Article 515-5 of the French Civil Code, if the contract does not provide otherwise, the parties dispose of personal belongings according to their interests and wishes. Also, the payment of the loan taken by one partner for personal interests is only his obligation. If one of the partners took the loan for common interests, the other partner is also responsible for paying. If one of the partners dies, another party has no right to inherit without a will. According to the French Civil Code, if the heir bequeaths part of his property to his partner, he is obliged to bequeath the other party of the property to the legal heirs.⁹

8 https://www.formulaires.service-public.fr/gf/cerfa_15725.do

9 <https://www.service-public.fr/particuliers/vosdroits/F2529>

Partners have the right to end the act of solidarity independently, and the relationship will be considered completed for the couple from the moment of registration of the contract's termination statement by one of the partners. According to the French law of May 12, 2009, the Family Court is authorized to hear the claim if a dispute arises between a couple.

CONCLUSION

Marriage is a significant fact in the life of any person and gives rise to important legal, moral responsibilities and obligations. According to Article 30 of the Constitution of Georgia, marriage, as a union between a man and a woman to create a family, is based on the legal quality and free will of the spouses. For a long time, the fact of a couple living together without marriage is no stranger to Georgian society; however, since Georgian law does not consider any other fact or institution of a couple being together besides marriage, the relationship of the parties remains without legal regulation or recognition of this relationship by the law, which unfortunately causes many problems, especially in case of separation of the couple. Since a couple's relationship in an unregistered marriage is not legally recognized, the parties cannot enjoy a number of rights, which threatens their personal and property rights.

The Georgian Civil Code must consider the example of the French Civil Code and integrate institutions other than marriage, such as the act of solidarity, into the Civil Code. By integrating this institution into the law, the couple will have the opportunity to decide how to legally regulate the relationship between them. Also, recognizing cohabitation as a fact by the law and bringing it into a particular legal framework will be an important innovation since the couple will have the opportunity to recognize the fact of their cohabitation before the law, which will to some extent, bring legal recognition of their relationship. Since the supreme law of the country strictly defines marriage as a union between a man and a woman, it is possible to regulate the institution of the act of solidarity or the fact of cohabitation, allowing a same-sex couple to regulate their monetary and

property relations. In addition, if the law allows a same-sex couple to enjoy the act of solidarity or the fact of cohabitation, in this way, their relationship will be recognized and brought into the legal framework, and the institution of the family will not be violated.

Since the law is a living organism and constantly undergoes changes due to the development and needs of the society, the Georgian Civil Code must follow the rhythm of developed countries, integrate such legal issues, and adapt to the society's demands already been introduced and tested.

BIBLIOGRAPHY:

1. Constitution of Georgia of August 24, 1995.
2. Civil Code of Georgia of June 26, 1997.
3. Law of Georgia on Civil Acts of December 20, 2011.
4. The Civil Code of France of March 21, 1804.
5. Aline Cheynet de Beaupré Family Law; Paris, Ellipses, 2019.
6. J. Carbonnier Civil law – the family; Puf; 21st ed. 2003.
7. P. Coubre, A. Gouttenoire and M. Farge – Family Law; Sirey, 8th ed. 2021.
8. Decision of the French Supreme Court of May 18, 2022 N 18-12.808.
9. Decision of the French Supreme Court of February 3, 1999 N 96-11946.
10. www.service-public.fr

თანაცხოვრება და სოლიდარობის აქტი საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის მიხედვით 2022 წლის 14 ნოემბრის მდგომარეობით

ანა გვენცაძე

სამართლის ფაკულტეტის დოქტორანტი, ლექტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი;
საფრანგეთი, ჰუატიეს უნივერსიტეტი; საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი,
თბილისი, საქართველო

საკვანძო სიტყვები: საოჯახო სამართალი, ქორწინება, თანაცხოვრება, სოლიდარობის აქტი, წყვილი

შესავალი

ოჯახი, როგორც ქართული, ისე ფრანგული საზოგადოების ბირთვის წარმოადგენს, რომელიც, მისი მაღალი მნიშვნელობიდან გამომდინარე, ორგანიზებული და დაცულია კანონის ძალით. ოჯახი არის ფიზიკური პირების დიდი ან მცირე ჯგუფი, რომელთაც ერთმანეთთან გარკვეული სახის ნათესაური ან საოჯახო-სამართლებრივი კავშირი გააჩნიათ.

საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი, განსხვავებით ქართული სამართლისაგან, რომელიც წყვილს შორის მხოლოდ ქორწინების ინსტიტუტის არსებობას აღიარებს, წყვილის ურთიერთობის ორ სამართლებრივ სახეს იცნობს: თანაცხოვრება (concubinage) და სოლიდარობის აქტი (pacte civil de solidarité*). თანაცხოვრებისა და სოლიდარობის აქტის შესახებ თავი საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსში მრავალი საპარლამენტო დებატის შედეგად, 1999 წელს 15 ნოემბერს №99-944 კანონის საფუძველზე ჩაიწერა. აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებები განაპირობა სა-

ზოგადოების განვითარებამ, ქალთა მოძრაობებმა და ქალთა უფლებების ჩამოყალიბებამ, დამოუკიდებელი ცხოვრებისაკენ სწრაფვამ და პიროვნულმა თავისუფლებამ. საფრანგეთის სტატისტიკის ეროვნული ინსტიტუტის კვლევების თანახმად, თანაცხოვრება და სამოქალაქო აქტი ახალგაზრდა წყვილებში მნიშვნელოვნად ხშირად გვხვდება¹, ვიდრე ქორწინება.

თანაცხოვრება

სოლიდარობის აქტისაგან განსხვავებით, თანაცხოვრება საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსში მხოლოდ ერთი მუხლი (Article 515-8) ეთმობა, რომლის მიხედვითაც, თანაცხოვრება არის ორი პიროვნების, სხვადასხვა სქესისა ან ერთი სქესის, ერთად ცხოვრების ფაქტი, რომელიც ხასიათდება სტაბილურობითა და განგრძობადობით². იმისათვის, რომ წყვილის

1 <https://www.insee.fr/fr/statistiques/3306175#tableau-figure1>

2 Article 515-8 du Code civil – Le concubinage est une

* სოლიდარობის სამოქალაქო პაქტი.

ერთად ცხოვრება თანაცხოვრებად იქნეს მიჩნეული, აუცილებელია მათი ერთად ყოფნა ხასიათდებოდეს შემდეგი პირობებით:

- წყვილს უნდა წარმოადგენდეს ორი უფლებაუნარიანი პირი³;
- არ იყვნენ ქორწინებაში სხვა პირებთან;
- მინიმალური სტაბილურობით ცხოვრობდნენ ერთად;
- მათი ურთიერთობა ხასიათდებოდეს განგრძობადობით.

საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი აღიარებს თანაცხოვრებას, როგორც მხოლოდ ფაქტს და მას იურიდიულ ძალას არ ანიჭებს, თანაცხოვრებაში მყოფი პირები ერთმანეთისთვის ერთი ოჯახის წევრებადაც კი არ მიიჩნევიან და მართხელეობა^{*} ითვლებიან. ამის მიუხედავად, პირს მხოლოდ ერთ კონკუბინაჟში შეუძლია ცხოვრება. კონკუბინაჟისთვის საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი არ აწესებს ასაკობრივ ზღვარს, შესაბამისად, არასრულწლოვან პირებსაც შეუძლიათ კონკუბინაჟის ქვეშ ერთად, წყვილად ცხოვრება. საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსში კონკუბინაჟის ინტეგრაციით კანონმდებელმა არ შექმნა ახალი ინსტიტუტი, მან უბრალოდ აღიარა წყვილის უფლება, ჰქონდეს თავისუფალი კავშირი (union libre), ოღონდ სამოქალაქო კოდექსის მიერ დეტალურად რეგულირებად ურთიერთობათა გარეთ. მიუხედავად ამისა, საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 515-8 მუხლი ბევრჯერ გახდა საფრანგეთის საკასაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღების საფუძველი და კანონის მიერ თანაცხოვრების შესახებ მხოლოდ ერთი მუხლით შემოფარგვლის მიუხედავად, იურისპრუდენციამ სხვადასხვა პრინციპი დაამკვიდრა.

ვინაიდან, საფრანგეთის კანონმდებლობის მიხედვით, თანაცხოვრება არის იურიდიული ფაქტი, მისი რეგისტრაცია, ქორწინებისგან განსხვავებით, შეუძლებელია, არამედ სახელმწიფო ორგანოს მხრიდან შესაძლებელია მოხდეს ფაქტის აღიარება, დადგენა. თანაცხოვრების შესახებ ცნობას გასცემს მე-

რია³, თუმცა მას მსგავსი დოკუმენტის გაცემის ვალდებულება კანონით არ აქვს განსაზღვრული. სახელმწიფო სერვისების ოფიციალური გვერდის ინფორმაციით, წყვილის მიერ თანაცხოვრების შესახებ ცნობის მოთხოვნის საფუძველზე ზოგიერთი მერია გასცემს ცნობას⁴ და ადგენს თანაცხოვრების ფაქტის არსებობას. ამ საბუთს არ გააჩნია იურიდიული ძალა, ის უფრო ცნობის მსგავსია და შესაძლებელია მისი გამოყენება კანონით განსაზღვრულ ზოგიერთ შემთხვევებში, მაგალითად, სოციალური დახმარების მოთხოვნისას. ცნობის აღება უფასოა და მის მისაღებად წყვილმა უნდა წარადგინოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობები და საცხოვრებელის შესახებ დოკუმენტები (კომუნალურების გადახდის ქვითარი, ქირავნობის ხელშეკრულება და ა.შ., რაც ერთგვარად არის წყვილის თანაცხოვრების ალიბი), ასევე, შესაძლებელია საჭირო გახდეს მოწმეების წარდგენაც, რომლებიც დაადასტურებენ წყვილის ერთად ყოფნის ფაქტს. მართალია თანაცხოვრება არ წარმოშობს წყვილს შორის სამართლებრივ ურთიერთობას, თუმცა არც სრულად გამორიცხავს მათ. მაგალითად, პარტნიორმა შესაძლებელია მეორე პარტნიორს მოსთხოვოს უსაფუძვლო გამდიდრების შედეგად მიღებული ქონების უკან დაბრუნება⁵, ვინაიდან მათ ურთიერთრჩენის ვალდებულებები არ ეკისრებათ.

საფრანგეთის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების⁶ მიხედვით, თანაცხოვრებაში მყოფ წყვილს არც ერთგულების ვალდებულება ეკისრება, ხოლო, ვინაიდან თანაცხოვრება არის თავისუფალი ურთიერთობა, დაშორებაც ერთი მხარის ინიციატივით შეიძლება მოხდეს, მეორე მხარის თანხმობის, მისი ინფორმირებულობის, ყოველგვარი სამართლებრივი ღონისძიებებისა და სახელმწიფო ორგანოებისადმი მიმართვის გარეშე. მენწყვილის ორსულობაც არ არის დაშორების დამაბრკოლებელი გარემოება, როგორც ეს, მაგალითად, ქორწინებისას განიხილება, თუმცა, გარკვეუ-

union de fait, caractérisée par une vie commune présentant un caractère de stabilité et de continuité, entre deux personnes, de sexe différent ou de même sexe, qui vivent en couple.

* დოქტრინა აღნიშნავს, რომ წყვილად კანონი მოიხსენიებს იმ პირებს, რომელთან აქვთ ერთმანეთთან სექსუალური სახის კავშირი.

3. მერია არის ორგანო, სადაც პირის შესახებ ნებისმიერი ინფორმაცია რეგისტრირდება.

4. <https://www.service-public.fr/particuliers/vosdroits/F1433>

5. საფრანგეთის უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 18 მაისის გადაწყვეტილება N 18-12.808.

6. საფრანგეთის უზენაესი სასამართლოს 1999 წლის 3 თებერვლის გადაწყვეტილება N 96-11946.

ლი გარემოებების არსებობის შემთხვევაში, საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1240-მუხლის⁷ (ყოფილი 1382-ე მუხლი) საფუძველზე, რომელიც დელიქტური ვალდებულებების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხს ეხება, ღალატისა და დაშორების შემდეგ, შესაძლებელია მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა იმ მენყვილის მიმართ, რომელიც დაშორების ინიციატორი ან ღალატის ავტორია. თანაცხოვრების დროს, თუ ერთ-ერთი წყვილი გარდაიცვლება, მეორე მხარეს კანონისმიერ მემკვიდრეობაზე უფლებები არ წარმოეშობა, თუმცა შესაძლებელია მენყვილე იყოს ანდერძისმიერი მემკვიდრე, ასევე, მეორე მხარეს არც გარდაცვლილი მენყვილის პენსიის რევერსიის* უფლება აქვს.

სოლიდარობის აქტი

სოლიდარობის აქტი არის ორ სრულწლოვან პირს შორის კონტრაქტი. თავისი არსით, სოლიდარობის აქტი (ფრანგები მოიხსენიებენ როგორც პაქსი (PACS**)), თანაცხოვრებასა და ქორწინებას შორის მდებარეობს და წყვილის ქონებრივ და ფულად საკითხებს შეეხება, მას არ აქვს გავლენა ოჯახსა და შვილებზე. საჯარო სერვისების შესახებ ვებგვერდის მიხედვით, პაქსი გავლენას ახდენს წყვილის სოციალურ, საშემოსავლო, საგადასახადო, საცხოვრებელ და ქონებასთან დაკავშირებულ უფლებებზე და არ აქვს გავლენა ფილიაციასა და სახელზე*. სოლიდარობის აქტის დროს, მხარეები ერთმანეთისთვის მუდღეობად არ ითვლებიან, ხოლო არიან თუ არა ერთი ოჯახის წევრები, ამაზე არც კანონს, არც დოქტრინას და არც იურისპრუდენციას გააჩნია ცალსახა პასუხი.

საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის სოლიდარობის აქტის შესახებ მუხლებმა 1999 წლიდან რამოდენიმე ცვლილება განიცადა, კერძოდ 2005 და 2006 წლებში. საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 515-4 მუხლის პირველი

წინადადების მიხედვით, წყვილი, რომელიც ერთმანეთთან დაკავშირებულია სოლიდარობის აქტით, იღებს ერთად ცხოვრების, მატერიალური და ურთიერთდახმარების ვალდებულებას. საფრანგეთის სტატისტიკისა და ეროვნული კვლევების ინსტიტუტის მიერ 2018 წლის 16 იანვარს გამოქვეყნებული მონაცემების მიხედვით, 2015 წელს 181 900 სხვადასხვა სქესისა და 7 000 ერთი სქესის წყვილს შორის, ხოლო 2016 წელს 184 400 სხვადასხვა სქესის, 7 100 ერთი სქესის წყვილს შორის გაფორმდა სოლიდარობის აქტის ხელშეკრულება, რაც მოწმობს იმ ფაქტს, რომ წყვილის ურთიერთობის ამგვარი მოწესრიგება აუცილებელი იყო საფრანგეთის საზოგადოებისთვის.

სოლიდარობის აქტი არ არის მხოლოდ ფრანგული სამართლისათვის დამახასიათებელი, მსგავსი ტიპის ინსტიტუტი ბელგიის სამართალშიც გვხვდება ლეგალური კოჰაბიტაციის სახელით (Cohabitation légale), რომელიც თავისი შინაარსით განსხვავდება ფრანგული სოლიდარობის აქტის ინსტიტუტისგან, კერძოდ იმით, რომ ლეგალური კოჰაბიტაციით სარგებლობა ერთი ოჯახის წევრებსაც შეუძლიათ, არ არის აუცილებელი, რომ წყვილს სექსუალური ურთიერთობა აკავშირებდეს, ბელგიის სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ლეგალურ კოჰაბიტაციაში მყოფი წყვილი ღებენ ვალდებულებას ერთად მართონ საცხოვრებელი ადგილი, ერთად იზრუნონ ცხოვრების ხარჯებზე და გაინაწილონ გარკვეული ვალეები. გერმანულ სამართალში თანაცხოვრების (Lebenspartnerschaft) სახელწოდებით გვხვდება ფრანგული სოლიდარობის აქტის ინსტიტუტი, თუმცა იგი შინაარსით განსხვავებულია, კერძოდ, თანაცხოვრების პარტნიორები მხოლოდ ჰომოსექსუალი წყვილია, ისინი იღებენ ერთმანეთზე ზრუნვისა და ერთად ცხოვრების ვალდებულებას, ამასთან, უფლება აქვთ მიიღონ ერთმანეთის გვარი. ფრანგული სამოქალაქო სამართლისაგან განსხვავებით, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი თანაცხოვრების პარტნიორებს უფრო მეტ უფლებებსა და ვალდებულებებს ანიჭებს, თითქმის დაქორწინებული წყვილის მსგავსს, ამასთან, გერმანიის სამართალი თანაცხოვრებაში მყოფ მენყვილეს, მეორე მენყვილის ბიოლოგიური შვილის შვილად აყვანის უფლებასაც ანიჭებს, რაც საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსით

7 Tout fait quelconque de l'homme, qui cause à autrui un dommage, oblige celui par la faute duquel il est arrivé à le réparer – ნებისმიერის ქმედება, რომელიც ზიანს აყენებს სხვას, ავალდებულებს ამ ქმედების ავტორს გამოასწოროს იგი.

* Le droit à la pension de réversion.

* Pacte civil de solidarité – სოლიდარობის სამოქალაქო აქტი.

შეუძლებელია. კანადის სამოქალაქო სამართალი იცნობს საერთო კანონით ცხოვრებას (living common-law), ხოლო ამერიკის ზოგიერთი შტატი იცნობს საერთო სამართლის ქორწინებას (common law marriage). თუმცა თითოეული ინსტიტუტის შინაარსი და კანონის მიერ რეგულირება ანალოგიური არ არის. ამერიკის შეერთებულ შტატებში საერთო სამართლის ქორწინებას საფუძვლად დაედო ნიუ იორკის უზენაესი სასამართლოს 1809 წლის გადაწყვეტილება (*Fenton v. Reed*), რომელშიც სასამართლო აღნიშნავს, რომ წყვილი, რომელიც რამდენიმე წლის განმავლობაში ერთად ცხოვრობს და საზოგადოების თვალში ცოლ-ქმრად არის აღქმული, ოფიციალური ქორწინების გარეშეც მიჩნეულია დაქორწინებულად და ერთმანეთისთვის მეუღლეები არიან.

საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 515-1 მუხლის მიხედვით, სოლიდარობის აქტი არის ორ სრულწლოვან, ერთი სქესის ან სხვადასხვა სქესის პირს შორის დადებული, მათი საერთო ცხოვრების ორგანიზების შესახებ კონტრაქტი. დაუშვებელია ე.წ პაქსის ხელშეკრულების გაფორმება, თუ ერთ-ერთი (ან ორივე) პარტნიორი უკვე იმყოფება ქორწინებაში. კანონით, პაქსის დროს მკაცრად აკრძალულია ინცესტი. საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 515-2-ე მუხლის მიხედვით, სოლიდარობის აქტის ხელშეკრულება ბათილია, თუ იგი დადებულია პირდაპირი ხაზის აღმავალ და დაღმავალ ნათესავეებს შორის, ასევე გვერდითა ხაზის ნათესავეებსა (დეიდაშვილებს, მამიდაშვილებსა და ბიძაშვილებს შორის) და მათ შვილებსა და შვილიშვილებს შორის. ხელშეკრულება ბათილია, ასევე, თუ ერთ-ერთი მხარე იმყოფება ქორწინებაში ან თუ უკვე გაფორმებული აქვს სოლიდარობის აქტის ხელშეკრულება სხვა პირთან.

სოლიდარობის აქტის ინსტიტუტის დაარსებიდან ძალიან მალე, გაჩნდა ე.წ. თეთრი პაქსი (les PACS Blancs), რომელიც ეწოდება სოლიდარობის აქტის ისეთ სახეს, რომლის გაფორმების მიზანიც არის ერთ-ერთი მენწყვილის მიერ, რომელიც არ არის საფრანგეთის მოქალაქე, ბინადრობის მოწმობისა და დროებითი საცხოვრებელი ბარათების მიღების პროცედურების გაადვილება და არა ერთად ცხოვრების, წყვილის ურთიერთობის ორგანიზების სურვილი. ვინაიდან სოლიდარო-

ბის აქტი არის წყვილს შორის გაფორმებული ხელშეკრულება, ის მხარეებისთვის ძალაში შედის მისი ხელმოწერისთანავე, ხოლო მესამე პირების მხრიდან შეცილების უფლება წარმოიშობა ნოტარიუსის მიერ მისი საჯაროდ გამოქვეყნებისთანავე. სოლიდარობის აქტი იდება სამოქალაქო ოფიცრის წინაშე, რომელიც პირველ ეტაპზე ამოწმებს წყვილის განცხადებების დასაშვებობას, ხოლო შემდეგ არეგისტრირებს მას და გადასცემს დოკუმენტს ნოტარიუსს, რეგისტრაციისა და შემდგომი გასაჯაროების მიზნით. თუ მხარეებს, ხელშეკრულების გამოქვეყნების შემდეგ, სურთ კონტრაქტში ცვლილებების შეტანა, ისინი ვალდებული არიან სოლიდარობის აქტის ძალაში შესვლის პროცედურის გზითვე დაარეგისტრირონ ისინი.

სოლიდარობის აქტის ორი სახის ხელშეკრულება არსებობს: 1. მერიის მიერ წინასწარ შემუშავებული⁸ და 2. მხარეთა თავისუფალი ნებით შედგენილი. ამ უკანასკნელზე ვრცელდება ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი. საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 515-5 მუხლის პირველი წინადადების მიხედვით, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, მხარეები პირად ნივთებს საკუთარი ინტერესებისა და სურვილის შესაბამისად განკარგავენ. ასევე, ერთ-ერთი წყვილის მიერ პირადი ინტერესებისათვის აღებული სესხის გადახდა მხოლოდ მისი ვალდებულებაა, ხოლო თუ სესხი ერთ-ერთმა მენწყვილემ ოჯახის საერთო ინტერესებისთვის აიღო, ასეთ შემთხვევაში მეორე მენწყვილეს პასუხისმგებელია სესხის გადახდაზე.

თუ პატრნიორი გარდაიცვლება, მენწყვილეს ანდერძის გარეშე არ აქვს მემკვიდრეობის მიღების უფლება. მამკვიდრებელი, თუ თავისი ქონების ნაწილს ანდერძით უტოვებს მენწყვილეს, ვალდებულია ქონების სხვა ნაწილი უანდერძოს კანონისმიერ მემკვიდრეებს, რომლებიც საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, კლასების მიხედვითა და პრიორიტეტებით არიან დაყოფილნი⁹.

წყვილებს სოლიდარობის აქტის დასრულების უფლება აქვთ დამოუკიდებლად და

8 <https://www.formulaires.service-public.fr/gf/cerfa_15725.do>

9 <<https://www.service-public.fr/particuliers/vosdroits/F2529>>

ურთიერთობა მხარეთათვის დასრულებულად ჩაითვლება მერიასა ან ნოტარიუსთან ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ ერთ-ერთი მენეჯერის განცხადების რეგისტრაციის მომენტიდან.

თუ პაქსის შესახებ წყვილს შორის წარმოიშობა დავა, საფრანგეთის 2009 წლის 12 მაისის კანონის მიხედვით, საოჯახო სამართლის მოსამართლე არის უფლებამოსილი იმსჯელოს და განიხილოს სარჩელი.

დასკვნა

ქორწინება ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტია ნებისმიერი ადამიანის ცხოვრებაში და მნიშვნელოვან სამართლებრივ, მორალურ პასუხისმგებლობებსა თუ ვალდებულებებს წარმოშობს. საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ქორწინება, როგორც ქალისა და მამაკაცის კავშირი ოჯახის შექმნის მიზნით, ემყარება მეუღლეთა უფლებრივ თანასწორობასა და ნებაყოფლობას. ქართული საზოგადოებისთვის დიდი ხანია უცხო აღარ არის წყვილის ქორწინების გარეშე ერთად ცხოვრების ფაქტი, თუმცა ვინაიდან ქართული სამართალი ქორწინების გარდა წყვილის ერთად ყოფნის სხვა ფაქტსა თუ ინსტიტუტს არ ითვალისწინებს, მხარეთა ურთიერთობა სამართლებრივი რეგულირებისა თუ კანონის მიერ ამ ურთიერთობის აღიარების გარეშე რჩება, რაც, სამწუხაროდ, მრავალ პრობლემას წარმოშობს, განსაკუთრებით წყვილის დაშორების შემთხვევაში. ვინაიდან არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი წყვილის ურთიერთობა სამართლებრივად აღიარებული არ არის, მხარეებს მთელი რიგი უფლებებით სარგებლობა არ შეუძლიათ, რაც საფრთხეს უქმნის მათ პირადსა და ქონებრივ უფლებებს.

აუცილებელია ქართულმა სამოქალაქო კოდექსმა გაითვალისწინოს საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის მაგალითი და მოხდეს, ქორწინების გარდა, სხვა ინსტიტუტების, როგორც არის, მაგალითად, სოლიდარობის აქტი, ინტეგრაცია სამოქალაქო კოდექსში. კანონში ამ ინსტიტუტის ინტეგრაციით წყვილს ექნება საშუალება თავად გადაწყვიტოს, სამართლებრივად როგორ დაარეგულირონ მათ

შორის არსებული ურთიერთობა. ასევე, კანონის მიერ თანაცხოვრების, როგორც ფაქტის აღიარება და გარკვეულ სამართლებრივ ჩარჩოებში მოქცევა მნიშვნელოვანი სიახლე იქნება, ვინაიდან წყვილს ექნება საშუალება, მოახდინოს მათი თანაცხოვრების ფაქტის აღიარება კანონის წინაშე, რაც გარკვეულწილად მოახდენს მათი ურთიერთობის სამართლებრივ აღიარებას.

ვინაიდან ქვეყნის უზენაესი კანონი მკაცრად განსაზღვრავს ქორწინებას, როგორც ქალისა და მამაკაცის კავშირს, შესაძლებელია სოლიდარობის აქტის შესახებ ინსტიტუტის ან თანაცხოვრების ფაქტის რეგულირებით, ერთსქესიან წყვილს მათ შორის არსებულ ფულადი და ქონებრივი ურთიერთობების დარეგულირების საშუალება მიეცეს. ამასთან, თუ კანონი მისცემს ერთსქესიან წყვილს სოლიდარობის აქტით ან თანაცხოვრების ფაქტით სარგებლობის საშუალებას, ამ გზით მოხდება მათი ურთიერთობის აღიარება და სამართლებრივ ჩარჩოებში მოქცევა იმგავად, რომ არ იქნება ოჯახის ინსტიტუტი ხელყოფილი.

ვინაიდან სამართალი არის ცოცხალი ორგანიზმი და მუდამ განიცდის ცვლილებებს, რაც განპირობებულია საზოგადოების განვითარებითა და საჭიროებებით, აუცილებელია ქართულმა სამოქალაქო კოდექსის საოჯახო სამართლის ნაწილმა ფეხი აუწყოს განვითარებული ქვეყნების რიტმს და მოახდინოს ისეთი სამართლებრივი საკითხების ინტეგრირება და საზოგადოების მოთხოვნებზე მორგება, რაც უკვე დანერგილი, გამოცდილი და აპრობირებულია.